



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება



MES 7 23 0000327555



22/03/2023

**ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის  
შედარებითი კვლევების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების  
შესახებ**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2023 წლის 15 მარტის №292422 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის №476/ი ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-6 მუხლის მე-8 და მე-11 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ლიტერატურათმცოდნეობისა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა/ლიტერატურის შედარებითი კვლევების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
4. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
დირექტორი  
მახარაშვილი თამარ

თ. ჯგერაძე